

ნოსტალგიის ტიპები, სოციალური მიკუთვნებულობის განცდა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

ქეთევან ლორთქიფანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

Types of Nostalgia, Social Connectedness and Psychological Well-Being

Qetevan Lortkipanidze



„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული
სტუდენტური ჟურნალია.

აბსტრაქტი

ნოსტალგიის ცნებას ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებდნენ, დაწყებული სამშობლოს მონატრებიდან, ფსიქიკური აშლილობებით და დაავადებებით დამთავრებული (Sedikides et al., 2008). საერთო, რაც ამ ყველა ზემოთჩამოთვლილ მნიშვნელობას აქვს ისაა, რომ ისინი უარყოფით კონტექსტთან არის დაკავშირებული. თუმცა, ბოლოდროინდელი კვლევები აქტიურად მეტყველებს საპირისპიროზე - მას უკავშირებენ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ხელშემწყობ მექანიზმს (Routledge et al., 2013). წარსულში განცდილ საკითხებთან დაკავშირებით აღძრული ნოსტალგია პიროვნული ნოსტალგიის სახელით არის ცნობილი, მეცნიერებაში კი, ასევე განიხილავენ ისეთი ტიპის ნოსტალგიას, რომელიც აღიძვრება მოვლენებით, რომლებიც ჯერ წარსულად არ ქცეულა და არ დასრულებულა, - მას მოსალოდნელ ნოსტალგიას უწოდებენ (Batcho & Shikh, 2016). მოცემული კვლევის მიზანია, დაადგინოს, რა მიმართებები არსებობს პიროვნულ და მოსალოდნელ ნოსტალგიის ტიპებს შორის, როგორ უკავშირდებიან ისინი სოციალური მიკუთვნებულობის განცდასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. კვლევის ფარგლებში, თვითანგარიშის კითხვარი შეავსო 322-მა ადამიანმა, რომელთა ასაკი ვარიირებდა 17-დან 76 წლამდე. მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგები, კერძოდ, ნოსტალგიის ორი ტიპი, პიროვნული და მოსალოდნელი, ერთმანეთთან დადებითადაა დაკავშირებული. ამასთან ერთად, მოსალოდნელი ნოსტალგია ნეგატიურად კორელირებდა როგორც სოციალურ მიკუთვნებულობის განცდასთან, ისე ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. ჩვენი კვლევის შედეგებით, პიროვნული ნოსტალგია სოციალური მიკუთვნებულობის განცდასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ უკავშირდება. რეგრესიული ანალიზის მეშვეობით გამოვლინდა, რომ მოსალოდნელი ნოსტალგია წინასწარმეტყველებს სოციალური მიკუთვნებულობის განცდას.

საკვანძო სიტყვები:ნოსტალგია; პიროვნული ნოსტალგია; მოსალოდნელი ნოსტალგია; სოციალური მიკუთვნებულობის განცდა; ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

Abstract

The concept of nostalgia has been used throughout history with different meanings, ranging from homesickness to mental disorders and diseases (Sedikides et al., 2008). What all these above meanings have in common is that they are associated with a negative context. However, recent studies actively suggest the opposite, linking it to a mechanism for promoting psychological health (Routledge et al., 2013). Nostalgia triggered by things experienced in the past is known as personal nostalgia, and in science, they also started talking about a type of nostalgia that is triggered by events that are not yet past and have not ended, which is called anticipatory nostalgia (Batcho & Shikh, 2016). The purpose of this study was to determine the relationships between personal and anticipatory types of nostalgia and how they relate to feelings of social belonging and psychological well-being. As part of the study, 322 people, ranging in age from 17 to 76, completed a self-report questionnaire. As a result of the data analysis, statistically significant results were revealed; in particular, two types of nostalgia, personal and anticipatory, are positively related to each other. Additionally, anticipatory nostalgia was negatively correlated with both a sense of social connectedness and psychological well-being. According to the results of our research, personal nostalgia is not statistically significantly related to the feeling of social connectedness or psychological well-being. Through regression analysis, it was revealed that anticipatory nostalgia predicts the feeling of social connectedness.

Key words: Nostalgia; Personal Nostalgia; Anticipatory Nostalgia; Social connectedness; Psychological well-being.

შესავალი

ისტორიის განმავლობაში ნოსტალგიას სხვადასხვა მნიშვნელობით ვიყენებდით, თუმცა დღეს, როდესაც მასზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ, წარსულის გარკვეული პერიოდის მიმართ სენტიმენტალურ ლტოლვას (Iyer & Jetten, 2011). მნიშვნელობის დაზუსტების მიუხედავად, მის გარშემო კვლევები არ შეწყვეტილა და მისი ტიპების გამოყოფით გაგრძელდა (Batcho & Shikh, 2016). მოსალოდნელი ნოსტალგია, ახლად გამოყოფილი ტიპია, რომელიც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ნოსტალგიის განმარტებას, რადგან ის წარსულზე მეტად აწმყოსთან და წარმოსახულ მომავალთან არის დაკავშირებული (Batcho, 2020). ნოსტალგიის მნიშვნელობების სიმრავლე იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ის წარსულისადმი ლტოლვაზე მეტია, ფსიქოლოგიური რესურსი, რომელიც გავლენას უნდა ახდენდეს თვითაღქმაზე, სოციალურ კავშირებსა თუ ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნაზე. ამის მიუხედავად, ნოსტალგიის სხვადასხვა ფორმისა და მათი შესაძლო გავლენის მექანიზმები ჯერ კიდევ არაა საკმარისად გამოკვლეული. ამ ნაშრომში შედარებულია არა მარტო ნოსტალგიის ტიპები, არამედ განხილულია მათი კავშირი სოციალურ მიკუთვნებულობის განცდასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან, იმ ცვლადებთან, რომლებიც დიდ გავლენას უნდა ახდენდნენ საკუთარი თავის აწმყოში, წარსულსა და მომავალში აღქმაზე.

ნოსტალგია

ნოსტალგიას დიდი ისტორია აქვს, თუმცა არა იმ მნიშვნელობას, რასაც მასში ახლა ვგულისხმობთ. თავდაპირველად მას სამშობლოს მონატრების სახელით მოიხსენიებდნენ (Sedikides et al., 2008). თუმცა მას მხოლოდ სამშობლოს მიმართ არ განვიცდით, არამედ სხვადასხვა ობიექტის, ადამიანთა ჯგუფის, ნივთების, სიტუაციების მიმართაც. შესაბამისად, მათი სინონიმებად ვერ გამოვიყენებთ. ამიტომ ნოსტალგია დიფერენცირდა ცალკეულ სპეციფიკურ მდგომარეობად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მას ფსიქიკურ აშლილობადაც მიიწოდებდნენ, რომლის დროსაც ადამიანი არაცნობიერად ცდილობს ცხოვრების ადრეულ ეტაპზე დაბრუნებას და მოვლენების ხელახლა განცდას. ნოსტალგია დეპრესიის ერთ-ერთ ფორმადაც განიხილებოდა, რომელსაც თან ახლავს დანაკარგის თანმხლები მონატრება და მწუხარება (Sedikides et al., 2008). სამშობლოს მონატრების, ფსიქიკური აშლილობებისა და დაავადებად გაიგივების შემდეგ, ნოსტალგიას მოიხსენიებდნენ როგორც „ტკბილ-მწარე“ ემოციას (Layous & Kurtz, 2023). მას ახასიათებდნენ, როგორც სევდით შეფერილ სიხარულს, რომელიც გვახსენებს დროის წარმავლობასა და შეუქცევადობას (Werman, 1977). დღეს ნოსტალგიაზე საუბრის დროს ვგულისხმობთ სენტიმენტალურ ლტოლვას წარსულის გარკვეული პერიოდის მიმართ (Iyer & Jetten, 2011) და ის შეიძლება უკავშირდებოდეს სიტუაციას, ადამიანებს, ნივთებსა და ადგილებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით, ნოსტალგიას არამარტო რეალურ სიტუაციებთან, არამედ ჩვენს წარმოსახულ იდეალებთან დაკავშირებითაც განვიცდით. ეს იდეალები კი შეიძლება შევქმნათ წაკითხული ლიტერატურიდან, მითებიდან და სხვ. (Werman, 1977). აქედან გამომდინარე,

მთავარი საკითხია ის, გვეჩინა თუ არა გამოცდილებაში კონკრეტული მოვლენა და არ აქვს მნიშვნელობა რეალურად მოხდა ის თუ ჩვენს ფანტაზიაში - ის მაინც ჩვენს წარსულს, მოგონებებსა და გამოცდილებას უკავშირდება.

ნოსტალგიას განიცდის ყველა ადამიანი განურჩევლად სქესის, ასაკისა და გამოცდილებისა. განსხვავება მხოლოდ მის გამომწვევ მიზეზში შეიძლება ვიპოვოთ. ერთ-ერთმა კვლევამ (Batcho, 1995) აჩვენა, რომ ნოსტალგიური მოგონებების შინაარსი განსხვავდება ასაკობრივ ჯგუფებში, ეს კი იმით შეიძლება აიხსნას, რომ სხვადასხვა თაობას გამოცდილებაში განსხვავებული კულტურული, ისტორიული და სოციალური კონტექსტი გააჩნია. ამავე კვლევის მიხედვით, ნოსტალგიის ყველაზე ძლიერი გრძნობა იმ პერიოდთან გაგვაჩნია, რომელიც ჩვენს ჩამოყალიბების პერიოდსა და გარდატეხის წლებს უკავშირდება და მის გამომწვევ მიზეზებში მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები არაა.

ნოსტალგიას არ განვიცდით მხოლოდ წარსულში მომხდარ მოვლენებზე, არამედ ნოსტალგიურად შეიძლება განწყობილი ვიყოთ აწმყოში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებითაც. ამ მოვლენას შეიძლება პარადოქსი ეწოდოს, რადგან თავად განმარტებაშიც ჩანს აუცილებელი ფაქტორი: მოვლენა, რომელიც წარსულში განვიცადეთ, რომელსაც ჰქონდა დასაწყისი და დასასრული. თანამედროვე კვლევებში შევხვდებით ნოსტალგიის ორ ტიპს: **პიროვნულს და მოსალოდნელს**. პიროვნული ნოსტალგია გვეუფლება წარსულში განცდილ საკითხებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი კი იმასთან დაკავშირებით, რაც ჯერ წარსული არ არის (Batcho & Shikh, 2016). მოსალოდნელ ნოსტალგიას წარმოსახული მომავალი იწვევს, რაც კონფლიქტს წარმოშობს რეალურ აწმყოსა და ჰიპოთეტურ მომავალს შორის. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი ნოსტალგია გულისხმობს აწმყოს გამოცდილებას წარმოსახვით მომავალთან და წარმოსახვით წარსულთან ერთად. ასეთი აბსტრაქტული კონსტრუქტი აწმყოდან ფსიქოლოგიურ დისტანციას იწვევს, რაც მიმდინარე რეალობაში ჩართვის ხარისხს ამცირებს (Nussbaum et al., 2003 ციტირებული წყაროში: Batcho, 2020). მიმდინარე მოვლენებში აქტიური ჩართვის ნაცვლად იმაზე ფიქრი რომ აწმყო წარმავალია, მალე წარსულ მოგონებად გადაიქცევა და მომავალში აუცილებლად დასრულდება, ბუნებრივია ჩვენგან დიდ კოგნიტურ რესურსს მოითხოვს, რაც გარკვეულწილად ხელის შემშლელი იქნება სრულყოფილი ფუნქციონირებისას (Werman, 1977). ნოსტალგიის მეორე ტიპი - მოსალოდნელი, შედარებით ახალი ტერმინია, შესაბამისად მასთან დაკავშირებით კვლევების რაოდენობა მწირია. ამ თემასთან დაკავშირებით ცნობილია Batcho-ს (2016) კვლევები, რომლის ძირითად მიზანს მისი პიროვნული ნოსტალგიისგან დიფერენცირება წარმოადგენდა. მისმა კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა განსხვავებული ცნებებია (Batcho & Shikh, 2016).

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიროვნული და მოსალოდნელი ნოსტალგია ორი განსხვავებული ტიპის ნოსტალგიაა, რომელთათვისაც დამახასიათებელია მონატრება და ლტოლვა. პიროვნულ ნოსტალგიაში ჩვენ წარსულში განცდილ მოგონებებს ხელახლა ვიხსენებთ. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ჩვენ ამ მოვლენებით ორჯერ ვტკბებით, ერთხელ როდესაც თავად ეს მოვლენა გამოვცადეთ, ხოლო მეორედ - როდესაც ხელახლა გავიხსენეთ ის. მოსალოდნელი ნოსტალგიის შემთხვევაში კი, ჩვენ მხოლოდ აწმყო გაგვაჩნია მათი

ტკბობისთვის. სევდას ვგრძნობთ იმიტომ, რომ ეს მოვლენა გვაკლდება როგორც რეალურ აწმყოში, ისე წარმოსახვით მომავალში (Batcho, 2020).

ნოსტალგიას დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ როგორც უარყოფით მოვლენას და ლიტერატურაში არსებული კვლევების უმრავლესობა სწორედ ამ შეხედულებას იცავს (Sedikides et al., 2008; Werman, 1977; Wildschut et al., 2006). აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევები შეეხება ზოგადად ნოსტალგიას და არა მის ცალკეულ ტიპებს. ლიტერატურაში არსებული კვლევების ნაწილი მიუთითებს, რომ უსიამოვნო გამოცდილება, როგორიცაა მოწყენილობა, მარტოობა და სიცარიელის განცდა ზრდის ნოსტალგიის ალბათობას (Routledge, 2015). გარდა იმისა, რომ მოწყენილობა იწვევს ნოსტალგიას, კვლევები აჩვენებს, რომ გამოწვევის შემდეგ, რიგ შემთხვევებში ნეგატიური განწყობა მძაფრდება, ძლიერდება მარტოობის განცდა და იმატებს შფოთვა. ავტორი განიხილავს იმასაც, თუ როგორ შეიძლება გადაჭარბებულმა ნოსტალიამ გამოიწვიოს არაადაპტური ქცევები, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ახალი გამოცდილების მიღებისგან თავის არიდებით, სოციალური ურთიერთობებისგან თავის დაღწევით ან გარე ჯგუფების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების გამყარებით (Routledge, 2015). Batcho-ს (2016) მიერ ჩატარებული კვლევები, იმასაც მიუთითებდა, თუ როგორ არის დაკავშირებული მოსალოდნელი ნოსტალგია მოწყენილობასთან (Batcho & Shikh, 2016). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ნოსტალგია შეიძლება იწვევდეს მწუხარებასა და სევდას, თანამედროვე კვლევები (Layous & Kurtz, 2023) აქტიურად გვიჩვენებს იმას, რომ ის ბედნიერებას უფრო მეტად უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ნოსტალგია სევდას და მწუხარებას იწვევს, მას უარყოფით ემოციად მაინც არ მოიხსენიებენ. პირიქით, სწორედ მისი ამ თვისებების გამო დაიწყეს საუბარი მის სასარგებლო ფუნქციებზე (Layous & Kurtz, 2023; Routledge et al., 2012).

ნოსტალგიის დადებითი შედეგები გამოიხატება ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის და სოციალური კავშირების გაძლიერებაში, თვითშეფასების, თვითეფექტურობის და პოზიტიური ეფექტის გაზრდაში, მე-ს უწყვეტობის განცდის შექმნასა და სხვ. (Layous & Kurtz, 2023; Routledge et al., 2012, 2013). Wildschut-ის კვლევის მიხედვით, ნოსტალგია სიყვარულის მსგავსად აძლიერებს სოციალურ კავშირებს; სიამაყის მსგავსად ზრდის პოზიტიურ თვითშეფასებას და ისევე როგორც სიხარული, დადებითად მოქმედებს (Wildschut et al., 2006). როგორ შეუძლია მას გამოიწვიოს პოზიტიური ეფექტი? ზოგადად ნებისმიერ პოზიტიურ აქტივობას მაშინ შეუძლია კეთილდღეობის გაზრდას შეუწყოს ხელი თუ ასევე გაზრდილია კმაყოფილების განცდა, დადებითი ეფექტი, ქცევები და ფიქრები (Lyubomirsky & Layous 2013). ერთ-ერთი კვლევა გვიჩვენებს რომ ნოსტალგია მართლაც უწყობს ხელს პოზიტიური ფიქრების თუ კმაყოფილების განცდის ზრდას (Layous & Kurtz, 2023). ამას შესაძლოა იმით ახერხებდეს, რომ, როდესაც ჩვენს გამოცდილებაზე ვიწყებთ ფიქრს, ჩვენ განვლილ ცხოვრებას გარკვეულ საზრისს ვძენთ (Sedikides et al., 2008). ნოსტალგია ამაღლებს ოპტიმიზმსაც (Cheung et al., 2013), მომავლის პოზიტიური ხედვის ტენდენციას. კვლევა ასევე ვარაუდობს, რომ ნოსტალგია შეგვიძლია უარყოფით ემოციებსა და მომავლის გაურკვევლობის განცდასთან გასამკლავებელ ფსიქოლოგიურ რესურსად განვიხილოთ. პოზიტიური გამოცდილებების გახსენებით ადამიანები დადებითად აღიქვამენ მომავალი გამოწვევებისთვის თავის გართმევის შესაძლებლობებს და მიიჩნევენ, რომ მომავალში პოზიტიური შედეგების

დადგომის ალბათობა დიდია (Layous & Kurtz, 2023). გარდა მომავალი გამოწვევებისა, ნოსტალგია აწმყოში არსებული გამოწვევების გადალახვის დროსაც იჩენს თავს (Sedikides et al., 2008). თუ ერთ-ერთ გამოწვევად მარტოობის განცდას განვიხილავთ, რომლის დროსაც ნოსტალგია ხშირად გვეუფლება ხოლმე (Routledge et al., 2013; Wildschut et al., 2006), ვნახავთ თუ როგორ შეუძლია ნოსტალგიას სოციალური მხარდაჭერის აღქმის გაზრდა, რაც მარტოობის განცდის შემცირებას იწვევს (Zhou et al., 2008). მარტოობის ეფექტის შემცირებას ის სხვებთან კავშირის არსებობის შეგრძნებით ახერხებს. ამის მიზეზია ის, რომ ნოსტალგიის დროს ადამიანები სოციალურ გამოცდილებებს იხსენებენ, რაც მათ კომპეტენტურ პირებად წარმოაჩენს (Newman et al., 2020). წარსულის პოზიტიურ მოგონებებსა და ემოციებზე წვდომა ადამიანებს მათებს უწყვეტობის განცდასა და თვითშეფასებას, რაც საბოლოოდ აუმჯობესებს კარგად ყოფნის განცდას (Routledge, 2015).

ნოსტალგიის შესახებ არსებული უარყოფითი შეხედულებები თანამედროვე კვლევებმა უარყო - ნოსტალგია დადებითად მოქმედებს ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე პოზიტიური განწყობის გაუმჯობესებით, სოციალური კავშირების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდით, თვითშეფასების გაძლიერებითა და ცხოვრების მნიშვნელობის აღქმის ხელშეწყობით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოსტალგია ფსიქოლოგიური რესურსია, რომელიც დამცავ ფუნქციას ასრულებს ცუდი ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის (Newman et al., 2020).

სოციალური მიკუთვნებულობის განცდა

სოციალური მიკუთვნებულობა განისაზღვრება როგორც სოციალურ სამყაროსთან სიღრმისეული და ინტიმური ურთიერთობების სუბიექტური განცდა, რომელიც გავლენას ახდენს საკუთარი თავისა და ზოგადად ცხოვრების აღქმაზე (Lee & Robbins, 1998). ადამიანები მიკუთვნებულობის განცდის ხარისხით განსხვავდებიან. მაღალი სოციალური მიკუთვნებულობის განცდის მქონე ადამიანებს უფრო მარტივად შეუძლიათ სოციალურ სიტუაციებში ჩართვა და გარშემომყოფებთან კომუნიკაციის დამყარება, რასაც მათთან საერთო მახასიათებლების მარტივად პოვნით ახერხებენ. დაბალი სოციალური მიკუთვნებულობის შემთხვევაში საკუთარი გრძნობებისა და საჭიროებების ეფექტური მართვა რთულია, ნაკლებად ენდობიან გარშემომყოფებს და მიდრეკილები არიან დაბალი თვითშეფასების, შფოთვისა და დეპრესიისაკენ (Lee & Robbins, 1998). ადამიანს, რომელსაც სურს, რომ თავი სოციალურად მიკუთვნებულად იგრძნოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, ეუფლება იმედგაცრუება. ამის გამო მან შეიძლება მიმართოს ფანტაზიას, შექმნას ადგილი და საზოგადოება, რომელსაც მისი ესმის, უარყოს რეალური როლები და ურთიერთობები და მთლიანად გადაეშვას მის „გამოგონილ სამყაროში“ (Lee & Robbins, 1995). მიკუთვნებულობის განცდის შემთხვევაში ადამიანებს „რეალობისგან გაქცევა“ არ უწევთ, აწმყოშიც ახერხებენ დამაკმაყოფილებელი ურთიერთობების ქონას და ხასიათდებიან აქტიური და სანდო ინტერპერსონალური ქცევით (Lee & Robbins, 1998). სოციალურად მიკუთვნებულობის მაღალი მაჩვენებლი დაკავშირებულია მაღალ თვითშეფასებასთან, სოციალური იდენტობის ქონასთან და

შფოთვისა და სტრესის ნაკლებ ხარისხთან. მარტოობისა და სოციალური ექსკლუზიის დროს ნოსტალგიის განცდის ალბათობა მატულობს (Wildschut et al., 2006), თუმცა არსებობს მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ ნოსტალგიაა ის დამცავი მექანიზმი, რომელიც სხვებთან კავშირის აღდგენას ემსახურება. ამას კი მისი იმ თვისებების გამო ახერხებენ, როგორებიცაა ისეთი სოციალური გამოცდილებების გახსენება, რომლებიც სოციალურ კომპეტენტურობასა და მიკუთვნებულობის განცდას ადასტურებს (Routledge et al., 2013).

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და ნოსტალგია

ნოსტალგია ხელს უწყობს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას (Iyer & Jetten, 2011; Layous & Kurtz, 2023; Newman et al., 2020; Routledge et al., 2013), რომელიც მოიცავს ადამიანის ფუნქციონირების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორებიცაა პოზიტიური ურთიერთობები, კომპეტენტურობა, ცხოვრების საზრისის შეცნობა (Diener et al., 2009). ძვირფასი ცხოვრებისეული გამოცდილების გახსენება არა მარტო ცხოვრებისთვის საზრისის მიცემაში გვეხმარება (Routledge et al., 2012), არამედ ეგზისტენციალურ საფრთხესთან თავის გართმევაში (Sedikides et al., 2008). როგორ შეუძლია წარსულში მომხდარ მოვლენებს აწმყოში ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნაზე გავლენის მოხდენა? პოზიტიური აქტივობების მოდელის მიხედვით, ეს კმაყოფილების განცდით, დადებითი აფექტით, ქცევებითა და ფიქრებითაა შესაძლებელი (Lyubomirsky & Layous 2013), ზუსტად იმ მახასიათებლებით, რომლის ზრდასაც ნოსტალგია უწყობს ხელს (Layous & Kurtz, 2023). შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ განხილული ნოსტალგიის დადებითი შედეგი საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, იქნება ეს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, სოციალური კავშირების გაძლიერება, თვითშეფასება, თვითეფექტურობა, მე-ს უწყვეტობის განცდა თუ სხვა (Layous & Kurtz, 2023; Routledge et al., 2012, 2013).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნოსტალგია ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნას, სოციალური ურთიერთობებისა და მხარდაჭერის მექანიზმის დახმარებით. მოცემულ ნაშრომში ნაცადია პიროვნული და წარსულის ნოსტალგიისა და სოციალური მიკუთვნებულობის განცდის კავშირების და იმ გავლენის კვლევა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნაზე. კერძოდ, ვვარაუდობ, რომ მოსალოდნელი ნოსტალგია, რომელიც რეალურ აწმყოსა და ჰიპოთეტურ მომავალს შორის კონფლიქტით ხასიათდება (Batcho, 2020), მეტად იქნება დაკავშირებული სოციალური მიკუთვნებულობის დაბალ მაჩვენებელთან, რადგან სწორედ დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში განიცდიან ადამიანები იმედგაცურებას და ცდილობენ რეალობას გაექცნენ გამოგონილი სამყაროს შექმნით (Lee & Robbins, 1995).

სოციალური მიკუთვნებულობის განცდის სირთულე, იმედგაცრუება და სევდა, რომელსაც მოვლენის განცდის შეუძლებლობა იწვევს რეალურ აწმყოსა თუ წარმოსახვით მომავალში (Batcho, 2020), დაკავშირებული იქნება ნაკლებ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან.

პიროვნული ნოსტალგიის შემთხვევაში კი, სოციალურ აქტივობებში ჩართვის მეტი სურვილი, რესურსი და მოთხოვნილება იქნება, რაც ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას უკავშირდება.

მოცემული კვლევა

მოცემული კვლევის მიზანია დავადგინოთ რა მიმართებები არსებობს პიროვნულ და მოსალოდნელ ნოსტალგიის ტიპებს შორის, და როგორ არიან ისინი დაკავშირებული სოციალური მიკუთვნებულობის განცდასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. აქედან გამომდინარე კვლევის ჰიპოთეზები შემდეგია:

პიროვნული ნოსტალგია დაკავშირებულია სოციალური მიკუთვნებულობის განცდის მაღალ მაჩვენებელთან, რაც იწვევს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.

მოსალოდნელი ნოსტალგიის მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში სოციალური მიკუთვნებულობის განცდის მაჩვენებელი დაბალია და ის უკავშირდება ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დაბალ განცდას.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტები

დემოგრაფიული ბლოკი

შეფასდა შემდეგი დემოგრაფიული მონაცემები: სქესი, ასაკი, განათლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

პიროვნული ნოსტალგია

პიროვნული ნოსტალგიის გასაზომად გამოვიყენეთ Batcho-ს (1995) მიერ შექმნილი პიროვნული ნოსტალგიის საკვლევი ინსტრუმენტი. რესპოდენტებმა უპასუხეს კითხვას, ჩამოთვლილი 20 ობიექტიდან რომელი ობიექტი ენატრებოდათ ბავშვობიდან (მაგ. ოჯახი, ადგილები, სათამაშოები) და როგორ შეაფასებდნენ ამ მონატრების განცდას ლაიკერტის 9 ქულიან სკალაზე. პასუხების მიხედვით გამოიყოფა მისი მაღალი და დაბალი მაჩვენებელი.

მოსალოდნელი ნოსტალგია

გასაზომად გამოვიყენეთ Batcho-სა და Shikh-ის 20 დებულებიანი კითხვარი (2016). შესაფასებლად გამოვიყენებთ 9 ქულიანი ლაიკერტის სკალა. კითხვების მაგალითია: „ვინმე, ვინც გიყვართ, ერთ დღეს დაგტოვებ“, „ოჯახთან და მეგობრებთან დროის გატარება სამუდამოდ არ გაგრძელდება“ და სხვ. გამოიყოფა მისი მაღალი და დაბალი მაჩვენებელი.

სოციალური მიკუთვნებულობის განცდა

სოციალური მიკუთვნებულობის გასაზომად გამოვიყენეთ სოციალური მიკუთვნებულობის განცდის კითხვარი (Lee, R. M., & Robbins, S. B., 1995). 8 დებულებიან კითხვარში

რესპოდენტებმა 6 ბალიან სკალაზე უპასუხეს, რამდენად ახასიათებდათ კონკრეტული პასუხი. კითხვების ერთ-ერთი მაგალითია „ვგრძნობ რომ გარემო სამყაროსთან კავშირი გაწყვეტილი მაქვს“. პასუხების მიხედვით გამოიყოფა მისი მაღალი და დაბალი მაჩვენებელი.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გასაზომად გამოვიყენეთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის გასაზომად შექმნილი 8 დებულებიანი კითხვარი (PWB) (Ed Diener and Robert Biswas-Diener, 2009). შესაფასებლად გამოიყენება 7 ქულიანი სკალა. დასმული კითხვები შემდეგი სახის იყო: „მიზანმიმართული და აზრიანი ცხოვრებით ვცხოვრობ“, „ხალხი პატივს მცემს“. გამოიყოფა მისი მაღალი და დაბალი მაჩვენებელი.

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა 233-მა ადამიანმა მიიღო, აქედან 193 (82,8%) მდედრობითი და 40 (17,2%) მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელთა ასაკი მერყეობდა 17-დან 76 წლამდე. მონაწილეთა 4%-ს (2 მონაწილე) საშუალო, ხოლო 60.5%-ს (141 მონაწილე) უმაღლესი განათლება ჰქონდა, 38.6% (90 მონაწილე) კი სტუდენტი იყო.

პროცედურა

კვლევის მონაწილეებს ელექტრონული კითხვარი ონლაინ, Google Forms-ის მეშვეობით მიეწოდათ. კითხვარი იყო სრულიად კონფიდენციალური, ანონიმური და ნებაყოფლობითი. კვლევა ჩატარდა ჯილდოსა და კომპენსაციის გარეშე. მიღებული რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური ანალიზით.

კვლევის შედეგები და ანალიზი

ცხრილი N1. აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებლები

	<i>N</i>	<i>α</i>	<i>M</i>	<i>SD</i>
<i>PN</i>	20	.884	116.36	31.156
<i>AN</i>	20	.919	90.97	34.314
<i>SCS</i>	8	.945	36.22	10.993
<i>PWBS</i>	8	.850	43.00	8.161

სქესთა შორისი განსხვავებები

ცალკეული სკალების შედარების საფუძველზე სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა. (იხ. ცხრილი N2)

ცხრილი N2. აღწერითი სტატისტიკა

	<i>სქესი</i>	<i>N</i>	<i>M</i>	<i>SD</i>
პიროვნული ნოსტალგია	<i>მდედრობითი</i>	<i>193</i>	<i>117.73</i>	<i>31.530</i>
	<i>მამრობითი</i>	<i>40</i>	<i>109.80</i>	<i>28.756</i>
მოსალოდნელი ნოსტალგია	<i>მდედრობითი</i>	<i>193</i>	<i>91.05</i>	<i>34.634</i>
	<i>მამრობითი</i>	<i>40</i>	<i>89.58</i>	<i>33.127</i>
სოციალური მიკუთვნებულობა	<i>მდედრობითი</i>	<i>193</i>	<i>36.16</i>	<i>11.042</i>
	<i>მამრობითი</i>	<i>40</i>	<i>36.53</i>	<i>10.884</i>
ფსიქოლოგიური კეთილდღეობა	<i>მდედრობითი</i>	<i>193</i>	<i>43.07</i>	<i>8.250</i>
	<i>მამრობითი</i>	<i>40</i>	<i>42.63</i>	<i>7.804</i>

კორელაციური ანალიზი

მონაცემთა კორელაციური ანალიზის (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) შედეგად აღმოჩნდა, რომ პიროვნულ და მოსალოდნელ ნოსტალგიას, სოციალურ მიკუთვნებულობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. კერძოდ:

ნოსტალგიის ტიპები, პიროვნული და მოსალოდნელი ნოსტალგია ერთმანეთთან პოზიტიურ კორელაციაშია;

მოსალოდნელი ნოსტალგია ნეგატიურად კორელირებს როგორც სოციალურ მიკუთვნებულობის განცდასთან, ისე ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან;

სოციალური მიკუთვნებულობის განცდა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა ერთმანეთთან პოზიტიურად კორელირებს.

მონაცემთა კორელაციური ანალიზის (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) შედეგად აღმოჩნდა, რომ პიროვნულ და მოსალოდნელ ნოსტალგიას შორის არის საშუალო დადებითი კორელაცია ($r = .39$; $p < .01$). ამასთან ერთად, მოსალოდნელი ნოსტალგია უარყოფითად კორელირებს სოციალურ მიკუთვნებულობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. კერძოდ, მოსალოდნელ ნოსტალგიასა და სოციალურ მიკუთვნებულობას შორის დაფიქსირდა საშუალო უარყოფითი კორელაცია ($r = -.40$; $p < .01$) და დაბალი უარყოფითი კორელაცია ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან ($r = -.2$; $p < .01$). სოციალურ მიკუთვნებულობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის შეიმჩნევა საშუალო დადებითი კორელაცია ($r = .39$; $p < .01$). (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3. კორელაციები ნოსტალგიის ტიპებს, სოციალურ მიკუთვნებულობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის.

	პიროვნული ნოსტალგია	მოსალოდნელი ნოსტალგია	სოციალური მიკუთვნებულობა	ფსიქოლოგიური კეთილდღეობა
პიროვნული ნოსტალგია	1	.389**	-.050	.008
მოსალოდნელი ნოსტალგია	.389**	1	-.404**	-.220**
სოციალური მიკუთვნებულობა	-.050	-.404**	1	.394**
ფსიქოლოგიური კეთილდღეობა	.008	-.220**	.394**	1

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ნოსტალგიის ტიპის მოდელი ხსნის სოციალური მიკუთვნებულობის ვარიაციის 17,6%-ს $R^2_{adj} = .17$ $F(2,230)=24.643$, $p < .01$. აღნიშნული მოდელიდან მოსალოდნელი ნოსტალგია მნიშვნელოვანი პრედიქტორია სოციალური მიკუთვნებულობის ($\beta = -.45$, $p < .01$) (იხ. ცხრილი N4).

რაც შეეხება პიროვნულ ნოსტალგიას, ის არ წინასწარმეტყველებს სოციალურ მიკუთვნებულობას.

ცხრილი N4. რეგრესია ნოსტალგიის ტიპებსა და სოციალურ მიკუთვნებულობას შორის


სოციალური მიკუთვნებულობის განცდა			
	<i>B</i>	<i>SE</i>	<i>β</i>
პიროვნული ნოსტალგია	.04	.02	.13*
მოსალოდნელი ნოსტალგია	-.15	.02	-.45**
R^2		.18	
F		24.64**	

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

მედიაცია

პრედიქტორსა და შედეგზე მედიატორის როლის შესახებ კვლევამ აჩვენა, რომ სოციალურ მიკუთვნებულობის მეშვეობით პიროვნულ ნოსტალგიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი არაპირდაპირი ეფექტი ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე $R^2 = .003$, $F(1, 231) = .59$, $p > .05$. $b = -.02$; $se = .03$; BCa CI $[-.08, -.035]$.

მოსალოდნელი ნოსტალგიის პრედიქტორსა და შედეგზე მედიატორის როლის შესახებ კვლევამ აჩვენა, რომ მედიატორის მეშვეობით პრედიქტორს მნიშვნელოვანი არაპირდაპირი ეფექტი გააჩნია შედეგზე $R^2 = .16$, $F(2, 230) = 21.85$, $p = .000$. $b = -.15$; $se = .03$; BCa CI $[-.21, -.003]$. პრედიქტორის მთლიანი ეფექტი შედეგზე მნიშვნელოვანია ($b = -.22$, $se = .02$, $t(233) = -3.42$; $p = .001$). მედიატორის კონტროლის დროს, პრედიქტორის შედეგზე პირდაპირი ეფექტი მნიშვნელოვანია [$(b = -.40$, $se = -.02$, $t(233) = -6.71$ $p = .000)$] (იხილეთ ფიგურა).



შედეგების განხილვა

პიროვნული და მოსალოდნელი ნოსტალგია

კვლევის ფარგლებში ჩატარებული კორელაციური ანალიზის შედეგად პიროვნული და მოსალოდნელი ნოსტალგია აღმოჩნდა დადებით კორელაციაში. აღნიშნული შედეგები მხარს უჭერს იმ კვლევებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ეს ორი ტიპის ნოსტალგია ერთმანეთს უკავშირდება, თუმცა ცნებები განსხვავებულია (Batcho & Shikh, 2016). ამას ადასტურებს მათი

განსხვავებული კავშირებიც სოციალური მიკუთვნებულობის განცდასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან.

სოციალური მიკუთვნებულობის განცდა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

კვლევის ფარგლებში არსებული მოლოდინის თანახმად, სოციალური მიკუთვნებულობის განცდა აღმოჩნდა პოზიტიურ კორელაციაში ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. სავარაუდო იყო, რომ როდესაც ადამიანს გააჩნია სოციალურ სამყაროსთან სიღრმისეული და ინტიმური ურთიერთობის სუბიექტური განცდა, რაც თავისთავად ხელს უწყობს საკუთარი თავისა და ზოგადად ცხოვრების დადებითად აღქმას, მაღალ თვითშეფასებას, სოციალური იდენტობის ქონასა და სხვ. (Lee & Robbins, 1998), გავლენას მოახდენდა ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნაზე.

მოსალოდნელი ნოსტალგია და სოციალური მიკუთვნებულობის განცდა

მოსალოდნელ ნოსტალგიასა და სოციალურ მიკუთვნებულობის განცდას შორის ნეგატიური კორელაცია გამოვლინდა, რაც ნავარაუდევია იყო, რადგან რეალურ აწმყოსა და ჰიპოთეტურ მომავალს შორის არსებული კონფლიქტი ხელს უნდა უშლიდეს აწმყოში არსებულ ურთიერთობებს. როგორც აღინიშნა, მოსალოდნელი ნოსტალგია აწმყოდან დისტანცირებას იწვევს, რაც ამცირებს მიმდინარე რეალობაში ჩართვის ხარისხს (Nussbaum et al., 2003 ციტირებული წყაროში: Batcho, 2020). მაშინ როდესაც რეალობაში საჭიროა ადამიანებთან ურთიერთობა და სოციალიზაცია, წარმავალ აწმყოზე მუდმივი ფიქრი შეაფერხებს და ხელს შეუშლის ამ პროცესის წარმატებით წარმართვას. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ადამიანს სიღრმისეული და ინტიმური ურთიერთობების ქონის სუბიექტური განცდა არ გააჩნდეს.

ამასთან ერთად, რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსალოდნელი ნოსტალგია სოციალური მიკუთვნებულობის განცდის წინასწარმეტყველია, რაც ამ ორ ცვლადს შორის კავშირზე კიდევ უფრო ნათლად მიუთითებს.

მოსალოდნელი ნოსტალგია და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

ვარაუდის დასრულად მოსალოდნელი ნოსტალგია ნეგატიურ კორელაციაში აღმოჩნდა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. აღნიშნული ფაქტი გვიჩვენებს, რომ ნოსტალგიის ეს ტიპი შედარებით არაადაპტურია, რომლის დროსაც, როგორც განხილული იყო, დამახასიათებელია სევდის და ლტოლვის გრძნობა იმ დროის მიმართ, რომელიც ჯერ აწმყოა და არ დასრულებულა. ეს მოვლენა კი გვაკლდება როგორც რეალურ აწმყოში, ისე წარმოსახვით მომავალში (Batcho, 2020). აქედან გამომდინარე, სავარაუდო იყო, რომ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან მისი კავშირი უარყოფითი უნდა ყოფილიყო, რაც მიღებული შედეგებითაც გამართლდა.

პიროვნული ნოსტალგია და სოციალური მიკუთვნებულობის განცდა

კვლევის ფარგლებში ნავარაუდევია კავშირი პიროვნულ ნოსტალგიასა და სოციალურ მიკუთვნებულობის განცდას შორის არ გამართლდეს. ამის ახსნა შესაძლოა თავად ნოსტალგიის განმარტებაში ვეძიოთ. შედეგებიდან ჩანს, რომ სენტიმენტალური ლტოლვა, რომელიც წარსულში განცდილ მოგონებებთან და გამოცდილებებთან დაკავშირებით გაგვაჩნია, არ იწვევს სოციალური მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერებას, რადგან ნოსტალგიის გამომწვევი მრავალფეროვანი წყაროებიდან, გარდა სოციალური ინტერაქციისა და ურთიერთობებისა, ასევე შეიძლება იყოს ადგილები, ნივთები, სიტუაციები და სხვა. სავარაუდოა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო გამოწვეული ნოსტალგია, სხვადასხვა გავლენას ახდენდეს ურთიერთობებზე, ან მას მეტად ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდეს. მაგალითად, თუ ნოსტალგიის გამომწვევი ძირითადი მიზეზი წარსულში არსებული ურთიერთობებია, ერთი მხრივ, დასაშვებია, ადამიანი ფოკუსირდეს აწმყოში მსგავსი ურთიერთობის ხარისხის და ხასიათის შესაძლო განცდაზე ან პირიქით, მონატრება იმდენად დიდი იყოს, რომ ხელს უშლიდეს ამჟამინდელი ურთიერთობების წარმატებით წარმართვაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პიროვნული ნოსტალგია წარსულთან დაკავშირებულ კონკრეტულ ობიექტს უკავშირდება (ადგილებს, სიტუაციას, ნივთებს) მაშინ, ერთი მხრივ, ამ გამოცდილების პოზიტიური აღქმა ხდებოდა, რაც როგორც ვახსენეთ, იწვევდეს თვითშეფასების, სიამაყის და თვითკომპეტენტურობის განცდას, რაც საბოლოოდ იმოქმედებდა სოციალიზაციის პროცესზე. ან პირიქით, მათდამი ლტოლვა ხელს უშლიდეს აწმყოში კონცენტრაციას და, შესაბამისად, სოციალური ურთიერთობების წარმართვას. აქედან გამომდინარე, საჭიროა ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც იმ მიზეზების დიფერენცირებას შეძლებდა, რის გამოც ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ პიროვნული ნოსტალგიის მაღალი მაჩვენებელი და შეისწავლიდა სხვაობებს სხვადასხვა ტიპს შორის. გარდა პიროვნული ნოსტალგიის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზისა, ყურადღება გასამახვილებელია სოციალური მიკუთვნებულობის ტიპებზეც, რადგან შესაძლოა ვარიერებდეს მიკუთვნებულობის განცდის ხარისხი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა თუ თანატოლებს შორის.

პიროვნული ნოსტალგია და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

ნავარაუდევია კავშირი პიროვნულ ნოსტალგიასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის არ დადასტურდეს. ლიტერატურაში მრავლად ვხვდებით კვლევებს, რომლებიც მიუთითებენ ნოსტალგიისა და კეთილდღეობის მჭიდრო კავშირზე (Iyer & Jetten, 2011; Layous & Kurtz, 2023; Newman et al., 2020; Routledge et al., 2013), თუმცა აღსანიშნავია ფაქტი, რომ ამ კვლევებში დამოუკიდებლად არაა შესწავლილი ნოსტალგიის ტიპები. შესასწავლი და გამოსაყოფია ნოსტალგიის ის ტიპი, რომელიც პიროვნული ნოსტალგიისგან განსხვავებით მეტად პოზიტიურ შედეგებს უკავშირდება და, შესაბამისად, დადებით კავშირს გამოავლენს როგორც სოციალურ მიკუთვნებულობასთან, ისე ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან.

დასკვნა

ლიტერატურაში არსებული კვლევების უმრავლესობაში ნოსტალგიის ტიპები ცალ-ცალკე არაა განხილული, სწორედ ამიტომ კვლევის მიზანი იყო იმის ჩვენება, თუ როგორ უკავშირდება პიროვნული და მოსალოდნელი ნოსტალგია სოციალური მიკუთვნებულობის განცდას და რა შესაძლო გავლენა ჰქონდეს მას ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.

მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად კვლევის ფარგლებში შემუშავებული ჰიპოთეზების ნაწილი გამართლდა, ნაწილმა კი ვერ მოიპოვა ემპირიული მხარდაჭერა.

ჰიპოთეზა, რომელიც მოსალოდნელ ნოსტალგიას ეხებოდა, დადასტურდა და შედეგების მიხედვით გამოჩნდა, რომ ნოსტალგიის ამ ტიპის მაღალი მაჩვენებლის დროს სოციალური მიკუთვნებულობის განცდა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი დაბალია. ამასთან ერთად, აღმოჩნდა, ამ კავშირში სოციალური მიკუთვნებულობის მედიატორად განხილვაც შესაძლებელია, რაც შეიძლება იმის ახსნაში დაგვეხმაროს, თუ რატომ არის დაკავშირებული ნოსტალგიის ორი ტიპი ფსიქოლოგიურ კეთილდღეობის ერთ შემთხვევაში მაღალ, ხოლო მეორე შემთხვევაში დაბალ მაჩვენებელთან.

აღსანიშნია, რომ პიროვნულ ნოსტალგიასთან დაკავშირებული ჰიპოთეზა არ გამართლდა და არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი დანარჩენ ცვლადებთან. მაშინ როდესაც ნოსტალგიის ეს კონკრეტული ტიპი მიიჩნევა შედარებით ადაპტურ და დადებით მოვლენად, რომელიც წესით უნდა უკავშირდებოდეს ისეთ დადებით შედეგებს როგორცაა სოციალური ურთიერთობების ხარისხი, თვითშეფასების, თვითეფექტურობისა და ზოგადად პოზიტიური ეფექტის ზრდა. სავარაუდოდ, მიზეზი უნდა ვეძებოთ ჩატარების პროცედურასა და ადაპტირებულ ინსტრუმენტებში. ასევე, შესაძლოა ნოსტალგიის კონცეპტის უკეთ შესწავლა და მისი სხვადასხვა ტიპების გამოყოფა. ერთადერთი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, რომელიც პიროვნულ ნოსტალგიას გააჩნდა, იყო მოსალოდნელ ნოსტალგიასთან, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახა ის ფაქტი, რომ ნოსტალგიის ეს ორი ტიპი მსგავსი, თუმცა განსხვავებული ცნებებია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნოსტალგიის მაჩვენებელი არ განსხვავდება სქესის მიხედვით, რასაც წინამდებარე მრავალი კვლევაც ადასტურებს (Batcho, 1995).

კვლევის ღირებულება

ჩატარებული კვლევის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ ნოსტალგიის ტიპების ასეთი კომპლექსური კვლევა პირველად განხორციელდა. ლიტერატურაში ახლად გამოჩენილი ტერმინი - მოსალოდნელი ნოსტალგია, ჯერ დეტალურად შესწავლილი არ არის. ამასთან ერთად, გარდა იმისა რომ ამ ტიპების დამოუკიდებლად შესწავლილი კვლევებიც მწირია, ასევე კვლევებში არ გვხვდება ამ ორი ტიპის ერთმანეთთან შედარება და სხვა ცვლადებთან კავშირის შესწავლა, მაგალითად, სოციალურ მიკუთვნებულობის განცდასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. ასევე, მოცემული კვლევის განსახორციელებლად

პირველი ნაბიჯები გადაიდგა საკვლევი ინსტრუმენტების ადაპტირებისაკენ, რაც ნაშრომში დასმულ საკითხებზე სამომავლო კვლევების ჩატარებას შეუწყობს ხელს.

მომავალი კვლევითი მიმართულებები და რეკომენდაციები

სამომავლოდ მნიშვნელოვანია ნოსტალგიის ამ ორი ტიპის შესახებ კვლევების გაგრძელება, რაც ნოსტალგიის ცნების უკეთ შესწავლასა და არსებობის შემთხვევაში დამატებითი ტიპების გამოყოფას შეუწყობს ხელს. ასევე, სასურველია ნოსტალგიის თითოეული ტიპის კავშირის შესწავლა სხვა დამატებით ცვლადებთან მიმართებით, რაც დაგვეხმარება მათ კომპლექსურ ანალიზსა და მექანიზმების დადგენაში.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ჩატარებული კვლევის მეტად სტანდარტიზებულ გარემოში გამეორება, ადაპტირებული ინსტრუმენტებითა და მსგავსი დიდი მოცულობის, მრავალფეროვანი შერჩევით.

გამოყენებული ლიტერატურა

- Batcho, K. I. (1995). Nostalgia: A Psychological Perspective. *Perceptual and Motor Skills*, 80(1), 131–143. <https://doi.org/10.2466/pms.1995.80.1.131>
- Batcho, K. I. (2020). When Nostalgia Tilts to Sad: Anticipatory and Personal Nostalgia. *Frontiers in Psychology*, 11, 1186. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2020.01186>
- Batcho, K. I., & Shikh, S. (2016). Anticipatory nostalgia: Missing the present before it's gone. *Personality and Individual Differences*, 98, 75–84. <https://doi.org/10.1016/j.paid.2016.03.088>
- Cheung, W.-Y., Wildschut, T., Sedikides, C., Hepper, E. G., Arndt, J., & Vingerhoets, A. J. J. M. (2013). Back to the Future: Nostalgia Increases Optimism. *Personality and Social Psychology Bulletin*, 39(11), 1484–1496. <https://doi.org/10.1177/0146167213499187>
- Diener, E., Wirtz, D., Biswas-Diener, R., Tov, W., Kim-Prieto, C., Choi, D., & Oishi, S. (2009). New Measures of Well-Being. In E. Diener (Ed.), *Assessing Well-Being* (Vol. 39, pp. 247–266). Springer Netherlands. https://doi.org/10.1007/978-90-481-2354-4_12
- Iyer, A., & Jetten, J. (2011). What's left behind: Identity continuity moderates the effect of nostalgia on well-being and life choices. *Journal of Personality and Social Psychology*, 101(1), 94–108. <https://doi.org/10.1037/a0022496>
- Layous, K., & Kurtz, J. L. (2023). Nostalgia: A potential pathway to greater well-being. *Current Opinion in Psychology*, 49, 101548. <https://doi.org/10.1016/j.copsyc.2022.101548>
- Lee, R. M., & Robbins, S. B. (n.d.-a). Measuring Belongingness: The Social Connectedness and the Social Assurance Scales.
- Lee, R. M., & Robbins, S. B. (n.d.-b). The Relationship Between Social Connectedness and Anxiety, Self-Esteem, and Social Identity.
- Newman, D. B., Sachs, M. E., Stone, A. A., & Schwarz, N. (2020). Nostalgia and well-being in daily life: An ecological validity perspective. *Journal of Personality and Social Psychology*, 118(2), 325–347. <https://doi.org/10.1037/pspp0000236>
- Routledge, C. (2015). *Nostalgia: A Psychological Resource* (1st ed.). Routledge. <https://doi.org/10.4324/9781315669311>
- Routledge, C., Wildschut, T., Sedikides, C., & Juhl, J. (2013). Nostalgia as a Resource for Psychological Health and Well-Being: Nostalgia and Psychological Health. *Social and Personality Psychology Compass*, 7(11), 808–818. <https://doi.org/10.1111/spc3.12070>
- Routledge, C., Wildschut, T., Sedikides, C., Juhl, J., & Arndt, J. (2012). The power of the past: Nostalgia as a meaning-making resource. *Memory*, 20(5), 452–460. <https://doi.org/10.1080/09658211.2012.677452>

- Sedikides, C., Wildschut, T., Arndt, J., & Routledge, C. (2008). Nostalgia: Past, Present, and Future. *Current Directions in Psychological Science*, 17(5), 304–307.
<https://doi.org/10.1111/j.1467-8721.2008.00595.x>
- Werman, D. S. (1977). Normal and Pathological Nostalgia. *Journal of the American Psychoanalytic Association*, 25(2), 387–398.
<https://doi.org/10.1177/000306517702500205>
- Wildschut, T., Sedikides, C., Arndt, J., & Routledge, C. (2006). Nostalgia: Content, triggers, functions. *Journal of Personality and Social Psychology*, 91(5), 975–993.
<https://doi.org/10.1037/0022-3514.91.5.975>
- Zhou, X., Sedikides, C., Wildschut, T., & Gao, D.-G. (2008). Counteracting Loneliness: On the Restorative Function of Nostalgia. *Psychological Science*, 19(10), 1023–1029.
<https://doi.org/10.1111/j.1467-9280.2008.02194.x>